№ 82

სამშაბათი, 16 აპრილი 1896

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ[illegible]რი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 82

სამშაბათი, 16 აპრილი 1896

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ელენე გიორგის ასული და ანნა დავითის ასული გაბაშვილები** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ წლის წირვასა და პანაშვიდზე ჩვიდმეტს ამა აპრილს, ოთხშაბათს, სამების ეკკლესიაში, **პოდპოლკოვნიკის სვიმონ დავითის ძის გაბაშვილის** სულის მოსახსენებლად.

(1—50—1)

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ იქმნება გამართული 28 აპრილს.

ვისაც სურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ (სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის შენობაში, და **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

კავკასიის ექიმთა **საიმპერატორო** საზოგადოება იწვევს ბბ. წევრთ წლიურ ადმინისტრატულ კრებაზე სამშაბათს, 16 აპრილს, სალამოს $7^1/_2$ საათზედ საექიმო მმართველობის სადგომში, საპერთა ქუჩაზე, ისარლოვის სახლში. კრება არა საჯაროა. **კრების საგნები:** 1) საზოგადოების გამგეობის წევრთა არჩევანნი $189^6/_7$ წლისთვის 2) $189^6/_7$ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. 3) არჩევა კომისიისა საზოგადოების კასსის და ბიბლიოთეკის რევიზიისათვის.

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ 28 აპრილისათვის დანიშნულ ლატარია-ალეგრისათვის შემოსწირეს:

კნეინა ნინო იოსების ასულმა ბაგრატიონ-მუხრან-ბატონმა—ერთი დიდი ვაზა ფრაჟესი, ორი დიდი ბლუდი და ერთი საფერფლე თეფში; სოფიო კაფაფოვისამ—ახალციხური ნაკეთი ვერცხლის ბროშკა და ორი ბროლის ვაზა.

## ახალი ამბავი

*** გუშინ დაიწყო სხდომები ტფილისის გუბერნიის გარდასახადთა ინსპექტორების კრებისა.

*** გუშინვე უნდა დაწყებულიყო ქუთაისში სხდომები შავიქვის მრეწველთა პირველის კრებისა.

*** გუშინ, 15 აპრილს, თავ. ორბელიანთა აბანოში, დილის 9 საათზე, დანით ყელი გამოიჭრა კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის განყოფილების უფროსმა, ინჟენერმა ბალიუკევიჩმა. საწყალს ამ ბოლოს დროს თურმე სულმთლად არ ეძინა ხოლმე ღამ-ღამობით და უკანასკნელს სამს დღეს სამსახურშიაც აღარ დადიოდა. როგორც ფიქრობენ, იგი მელანხოლიით უნდა ყოფილიყოს ავად, რადგანაც ერთობ მოწყენილი, დაღონებული და დაფიქრებული თურმე იყო. ბალიუკევიჩი აბანოდამ მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე თავ. ბარიათინსკი დაღესტანის ოლქის სამხედრო გუბერნატორად იქმნა დანიშნულიო, სწერს გაზ. „ნოვ. ობ.“

*** გაზეთების სიტყვით, ნიჟნი-ნოვგოროდის სრულიად რუსეთის გამოფენაზე კავკასიიდამ ბევრი სხვა-და-სხვა ნაწარმოები და ნიმუშები იგზავნება. აბრეშუმი, ღვინო, ვერცხლის ნივთები, ხილეულობა, თაფლი, სხვა და სხვა თევზი, მინერალთა ნიმუშები და სხვა [illegible] უკვე მიღებულია ნიჟნი-ნოვგოროდში. გარდა ამისა დიდი მემამულე კავკასიაში, ბარონი შტეინგელი, აგზავნის გამოფენაზე კავკასიის სხვა-და-სხვა ხის ნიმუშებს: ჭანდარს, რცხილას, წიფელას და სხვა. იგზავნება აგრეთვე ჩაქვიდამ ჩაი.

*** აპრილში ფინანსთა სამინისტრო განიხილავს და შეასწორებს ყველა ტარიფებს საქონლის გადაზიდვისა რკინის გზებით. ამ საგნისთვის სამინისტრო მოიწვევს მეურნეობის და მრეწველობის წარმომადგენელთ. („მოსკ. ვ.“)

*** საყოველთაო აღწერის უმთავრესმა კომისიამ გამოსცა ამ დღეებში „დარიგება“ სოფლის ამწერ კომისიებისათვის. გარდა იმისა, რომ უნდა აღინიშნებოდეს ყოველის მცხოვრების გვარი და სახელი, წლოვანება, წოდება, სქესი, სარწმუნოება და სხვა ამგვარი, უნდა ჩაიწეროს აგრეთვე: რამდენია სოფელში წერა-კითხვის მცოდნე, ვინ რას მუშაობს, რა ხელობას მისდევს, რამდენია უსინათლო, მუნჯი, ჭკუაზედ შეშლილი და სხვა.

*** ფინანსთა სამინისტროში, როგორც ამბობენ, შემუშავებულია პროექტი, რომელსაც აზრადა აქვს შეამციროს ადგილ-მამულზედ დაწესებული გარდასახადი მთელს სახელმწიფოში. იქ, სადაც დესეტინაზედ ორს შაურზედ მეტს არ ახდევინებენ, ამ პროექტის ძალით გარდაახდევინებენ მხოლოდ ამის ნახევარს. ხოლო, იქ, სადაც [illegible] ორ შაურზედ ნახევარზედ მეტს მოაკლებენ გარდასახადს. (რ. ვ.)

*** მელიორაციულ კრედიტის კანონ-პროექტი საბოლოოდ განხილულ იქნება სახელმწიფო საბჭოში 22 აპრილს. („რუსკ. ვედ“.)

*** ბარის-ოსები: წარსულს თებერვალში ერთმა სოფ. ბათაყოველმა ოსმა მოჰკლა სამი ქისტი ერთად. ამის გამო ქისტები ხშირად ესხმიან ხოლმე თავს ბათაყოველებს და ცდილობენ სისხლის აღებას. მარტის მიწურულ რიცხვებში ხუთი ბათაყოველი ურემი ფქვილებით დატვირთულნი ღამე სოფელ ხუმელაგის წისქვილებიდამ მიდიოდენ შინისკენ. დაესხნენ თავს ქისტები და დაუშინეს სეტყვასავით ბერდანის თოფები. საბრალო ბათაყოველნი მიიმალნენ ზოგი ხნულში და ზოგი სად. ორი ცხენი მოუკლეს და თავათ-კი გადარჩნენ განგებით.

ამ ორის დღის წინათ კიდევ ფარეხებში ბათაყოველ მეცხვრეებს დაესხნენ ქისტები და აუტეხეს თოფის სროლა. მეცხვარეებმაც თავიანთ მხრივ პასუხი მისცეს ქისტებს და ბათაყოველებს, რომ ველარა დააკლესრა, ახლა მიუცვივდნენ სოფ. ზილგეელ მეცხვარეებს; აქ-კი ერთი მეცხვარე საბრალო ბათაგოვი მოჰკლეს და გაუდგნენ არხეინად გზას.

*** იქიდამვე: აქეთ თუმცა ამ ჟამად თოვლი აღარ არის, მაგრამ საშინელი სიცივეებია, ბალახი სულ

*** სოფ. სადონი (კავკავის მაზრა): ოც-და ხუთს, ე. ი. აღდგომის მეორე დღეს, სოფელ სადონში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ამ სოფლის მთავარ დიაკონი პორ-

## ფელეტონი

### წმინდა ცრემლები.

ეტიუდი.

(დასასრული *)

ცოტა უკან დავბრუნდეთ:

დიდს დარბაზში ვართ. სინათლის სიბრწყინვალეში გამოხვეულია ყველა იქ მყოფი და თვითონაც ათას გვარ სამკაულებით მორთულ-მოკაზმულნი სხვა-და-სხვა გვარად ბრკიალებენ. ერთის სიტყვით, ირგვლივ ამ დარბაზში თვალის მომჭრელებელი, გონების დამაბნელებელი ელვარება სუფევს. ფეხის სასხლეტ იატაკზედ მისრიალობენ და მიგოგმანობენ წყვილ-წყვილად ქალ-ვაჟნი. მუსიკა გრგვინავს და გრიალებს. გატაცებული, თავ-დავიწყებული, გახურებული ცეკვა-როკვა გახლავსთ. ახალგაზდანი ალტაცებულნი არიან და საპატიო მოხუცებულთაც კმაყოფილების ღიმილი დაქრისთ უკვე, ცოტა არ იყოს, გამოგრილებულ სახეზე. „მაზურკა!“—გაისმა „დირიჟორის“ მკაფიო ხმა. მოთამაშენი აირიენ ერთმანერთში და თავ-განწირულის ვალსის შემდეგ დარბაზში გამოცურდნენ ოთხი თუ ხუთი წყვილი მემაზურკენი, რომელნიც შეუდგნენ ამ ცეკვის „გრაციოზულ პა“-ს გამოყვანას... აგერ ჩვენი კოწიაც ლამაზად, ჩერქეზულად გამოწყობილი, „დუხით“ ასუნნელებული, სახე მწყაზარი მოირხევა ახალგაზდა წარმტაცი სილამაზის მექონე ქალთან... ქალს ცოტა ოდნავ აღელვება ეტყობა და მისი ცინცხლების მსროლელ, მომხიბლველ თვალებით, მისის ლამაზად მოყვანილის, რაღაც ჰაეროვანის ტანით, თითქოს გამტყუებელს გრძნეულს ჩამოჰგავს, რომელსაც ყმაწვილი კაცი ვითომ სადღაც უფსკრულისაკენ მიჰყავს, რომ იგი იქ ჩააგდოს და მერე მისის დაღუპვით თვითონ ისიამოვნოს, იხარხაროსო. მაგრამ ასეთი არ იყო კოწიას «დამა». თურმე ხშირად კაცს გარეგნობა ატყუებს. ეს არ იყო ესეთი ცუდ-აზროვანი გრძნეული. იგი გრძნეულობას მხოლოდ ქალურს სიკეკლუცეში, მოხდენილობაში ხმარობდა და მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ მისი ჯადოქარობა იმ ერთი გულის ბადეში ჩასაგდებად მოეხმარა, რომელსაც იგი იცნობდა თავისად, რომელსაც იგი მისის აზრით დაემყარებოდა... ამგვარი ჯადოქარობა-კი, მგონი, მისატევებელია და ამიტომაც იყო, რომ კოწიაც იმ პაწია ხრიკებს, რომელსაც უკვე ხედავდა კიდეც მისკენ მომართულს, დიდ-სულოვნობით მიუტევებდა ხოლმე. და ამ ეხლანდელსაც მიუტევა...

ეს ქალი კოწიამ ამაღამ გაიცნო, სათავად-აზნაურო ბალში, რომელიც მარშლისაგან იყო, მგონი, ეს მეხუთეჯერ ამ წელიწადში გამართული და მაშინვე მისი მთელი ყურადღება ამ მისთვის უკვე ძვირფასს ქმნილებისაკენ წავიდა. კოწია ჯერ კიდევ გამოუცდელი და ახალგაზდა იყო. ჯერ კიდევ მისი გული უფრო სპეტაკ ქაღალდს წარმოადგენდა, სადაც შეიძლებოდა ყოველ-გვარი ფრაზები, ცუდი თუ კარგი, საუკუნოდ ჩაეწერა ცხოვრებას. ამიტომაც ყოველი მისთვის პაწიათ მაინც აკანკალებული გული, უბრალო მნიშვნელოვანი შეხედვა, ერთი ათრთოლებული ხელის მოჭერაც მისთვის საკმაო იყო. იგი მონა იყო, ყურმოჭრილი ყმა ამის შემდეგ იმისი, ვინც ეგრე ტკბილად მოექცა. ამაღამაც ეგრე მოხდა. პირველად ბალში გამოსულმა ნინომ კოწიას მთელი არსება მოხიბლა. ახალგაზდა ქალი კარგი დედ-მამის შვილი იყო. დედის ერთა კოწიასი არ იყოს, და მამულ-ქონებიანი. ასე, რომ მისი სწავლის დასრულების შემდეგ, ბევრი ყმაწვილი შეჰყურებდა ხარბის თვალით მისს კარგ მსუქან მზითევს. ქალიც ლამაზი იყო, ნასწავლი და რაკი მზითევიც თან ჰქონდა დართული, ჩვენის ყმაწვილებისათვის ნამდვილი საცოლოს იდეალი გამხდარიყო!..

„მაზურკაც“ გახურდა. მოცეკვავენი ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ სიმარჯვე და მოხდენილობაში... კოწიას, აღელვებულს ერთი ქალის მეზობლობით, ალტაცებულს მისი სილამაზით, მოხიბლულს მისის ხსენებულის ჯადოქარობით, უნდოდა იქვე მაზურკის თამაშშივე ეთქვა, რომ—იგია მისი ღმერთი, მისი სულის დგმა; რომ მას უმისოთ სიცოცხლე არ შეუძლია, რომ მხოლოდ იგი უყვარს მთელი მისის სულითა და გულით, მთელის მისის არსებით. ერთის სიტყვით, ეთქვა სხვა კიდევ ათას გვარი საალერსო გრძნობათა აღმოთქმანი. მაგრამ თითქოს დამუნჯდაო, ისრე ველარ ამოიღო ხმა. მხოლოდ მოასწრო თამაშში ერთი კიდევ გრძნობით შეეხედნა ნინოსთვის. მაგრამ მაშინვე დახარა თავი, თითქო დაჰკრესო, ისრე გულში ეცა ისარივით ნინოს თვალის სხივები. დიაღ, ეგ თვალები თავის დღეში არ დაავიწყდება კოწიას!... ეხლა კიდევ უფრო მოუნდა ყოველივეს გამოთქმა, მაგრამ ამ დროს დაჰკრეს კვლავ ვალსი და მალე თავ-დავიწყებული ქალ-ვაჟი ტრიალ-ტრიალით მიმოქროლავდა უშველებელს დარბაზში. თითქო, სიტყვის მაგიერ, ეს იყო გამოთქმა მათის ერთობისა და იმისი, რომ იგინი ორივენი ერთის აზრის ზიარი იყვნენ. ქალიც იმედნეულად მიეყრდნო კოწიას მკერდზედ და კოწიამაც მამაცურად მოჰხვია საიმედო ხელი მშვენიერს წელზედ... მექანიკურად მიჩვეული რომ არ ყოფილიყო კოწია ცეკვის წეს-რიგს, დარწმუნებული ვარ, მუსიკის დაცხრომის შემდეგაც იტრიალებდა, მაგრამ მიჩვეულმა ყურმა გამოარკვია იგი ამ გატაცებულ მდგომარეობიდამ და ქალი კვლავ თავისს ადგილზედ მიიყვანა.

— მადლობელი ვარ!.. თითქო წაიჩურჩულაო აღელვებულმა ნინომ და ჩამოჯდა მოქანცული. კოწიას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხელის ჩამორთმევის მეტი ველარა მოახერხა-რა. ისინი გაიყარნენ...

ბალის შემდეგ კოწია დაუახლოვდა ნინოს ოჯახს, ასე რომ საქმე შეიძლება კიდეც მოგვარებულიყო, მაგრამ ბედმა კოწიას მერანი სხვისკენ გაიხტუნა... კოწიას და ნინოს სიყვარულზე ლაპარაკი არც-კი მოსვლიათ. ყოველთვის ისე გამოდიოდა, რომ ამისი თქმა, თითქოს არ იყოვა საჭირო. თითქო ამისი თქმა შეურაცხჰყოფს ამ მათ წმინდა გრძნობასაო... მხოლოდ ერთხელ ახსოვს კოწიას, რომ ცოტაოი გადავიდა ამ მათგან შემოსაზღვრულ წრეს. ეს იყო მაისში, როდესაც დღის შრომით მოქანცული ქალაქის ხალხი, სალამოთი სეირნობით იბრუნებს სულს და მთვარიანში ქართველურად უდარდელი კისკის-სი-

*) იხ. «ივერია» № 81.

ფირე პეტრიაშვილი სამსახურის გამო თავისს მრევლში წავიდა. როგორც სხვაგან მთაში, აქაც გვერდობი და ცუდი სავალი გზებია. ეს დღე წვიმიანი და მოლინქყული იყო საბრალო მთავარ დიაკვანი პორფირე პეტრიაშვილი სალამოთი შინისკენ რომ დაბრუნდა, დაუსხლტა ფეხი, გადავარდა საშინელ კლდეზედ და სამუდამოდ გამოესალმა წუთისოფელს.

პეტრიაშვილს თავისის მშვიდი ხასიათითა და ყოფა-ქცევით დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თავის მღვდელთან და მრევლთან.

*** გუშინ-წინ, კვირას, 14 აპრილს, მეველოსიპედეთა მოედნიდამ, ვერის ხიდთან, ჰაეროსტატით აფრინდა ბ-ნი დრევნიცკი. რადგანაც მშვენიერი წყნარი ამინდი იყო, ჰაეროსტატი, შედარებით პირველ ორ გაფრენასთან, ეხლა უფრო მაღლა წავიდა და თვითონ დრევნიცკი-კი ვერაზე, სადაც საარტილერიო ყაზარმებია, მის მახლობლად მტკვრის პირად ფერდობზე ჩამოეშვა ჰაერში საფრენ ქოლგით.

## კორესპონდენცია.

**ქ. სიღნაღი.** ჩვენს ქალაქ სიღნაღსაც გაუთენდა დიდის ხნის სანატრელი და სასურველი დღე, 7 აპრილი. ამ შვიდ აპრილს იყო კრება, უმაღლესის მთავრობისაგან მინიჭებულ თვით-მმართველობის ხმოსანთა ამორჩევისა. ძლიერ ადრე შეუდგნენ ამ დღისათვის ცდასა და მეცადინეობას ის პირნი, რომელნიც ქალაქის მოურავობის ადგილის მიღებით იყვნენ გატაცებულნი, და კარგა ბლი ხალხიც შეიძინეს პირველმა „ღლა-[illegible] სარტიებმა. ზოგი ტკბილის სიტყვით და მეგობრობით, ზოგიც შურ-მარილის წყალობით და ზოგიც ნათესაობით; ჩვენი ქ. სიღნაღი შეიცავს სულ 10,604 მცხოვრებს; ქართველები შეადგენენ 4644 სულს, რუსები 106 სულს და სომხები 5854 სულს, და აი, ამ 10604 მცხოვრებთა შორის ხმის პატრონი იყო სულ 191. ამ ხმის მქონე ხალხმა დაიწყო შეკრება 7 აპრილს სიღნაღის საზოგადო საკრებულო დარბაზში, კვირას, ე. ი. 7 აპრილს, ამ კრების თავმჯდომარედ იყო დანიშნული ბ. სტ. ტერ-ავაქიანი. ზემოხსენებულ 191 ხმის მქონეთ შორის გამოცხადდა კრებაზე მარტო 97 კაცი. თავმჯდომარემ გახსნა კრების სხდომა $11^1/_2$ საათზე დილით, ამოიკითხა სიებიდამ მოსულ ხალხის გვარი და სახელი და რა დარწმუნდა ამოკითხვით, რომ მართლა 97 კაცი მოსულა კრებაზე და სულ აქ არიანო, ჩამობრძანდა ამაღლებულ ადგილიდამ, დაიწყო იქ დამსწრე ხალხის თვლა, მათ შორის მეც, ამ სტრიქონების დამწერი იქ გახლდით. 97 ხმის მქონე პირთ შორის მხოლოდ 20 ქართველი და ერთიც რუსი იყო. თვლის დროს, როდესაც მომიახლოვდა თავმჯდომარე, მეც ჩამთვალა ხმის მქონეთა შორის. მე ავდექი და მოვახსენე თავმჯდომარეს, მე ნუ ჩამთვლით, ამიტომ რომ ხმა არა მაქვს და თუ აქ გახლავართ ეს იმიტომ, რომ გავიგო თვითმართველობის კრების წეს-რიგი მეთქი. ამაზე ბ-ნმა თავმჯდომარემ მიასხანედ მიბრძანა: აქ შემოსვლის ნება გარეშეთ არა აქვთ და დასტოვეთ კრებაო. მე, რასაკვირველია, დავემორჩილე ჩემ ხვედრს და გამოვედი გარეთ.

როგორც ზემოდ მოვახსენეთ, სულ შეიკრიბა 97 ხმის მქონე, და ერთიც სადამოზე შემოვიდაო, და მათ 98 ხმის მქონეთა შორის უყარეს კენჭი 28 კაცს. მათ შორის უნდა აერჩიათ ნამდვილი ხმოსნად 15 კაცი და ხუთიც [illegible] მათი კანდიდატი. ამ ოც-და-რვა კაცმი მიიღეს თითრი კენჭი, შემდეგმა პირებმა და ამორჩეულებიც იქმნენ: 1) ამირან შავერდიანმა მიიღო 94 თეთრი 4 შ.; 2) სტ. ტერ-ავაქიანმა 93 თ., 5 შ.; 3) ალექსანდრე ამირხანიანმა 81 თ., 17 შ.; 4) მელქო ამირხანიანმა 79 თ., 19 შ.; 5) სიმონ ოთარიანმა 75 თ., 22 შ.; 6) ისაკე შავერდიანმა 75 თეთრი, 23 შ.; 7) არტემა ოთარიანმა 74 თეთრი, 24 შავი; 8) მელქო ბაშინჯაგიანმა 73 თ., 25 შ.; 9) ნოდარ ნადირაშვილმა 63 თ., 20 შ. (ნუკრიან-ზოტორის მხრით, სადაც ქართველობა სულ არა სცხოვრობს); 10) ისაკ ყაჯარდუზიანმა 63 თ., 35 შ., 11) ლუკა მოსულიშვილმა 62 თ., 36 შ. (უარს ამბობს); 12) ივანე ბაშინჯაღიანმა 62 თ., 36 შ.; 13) არტემ სარქისიანმა 62 თ., 36 შ.; 14) კართან ენიკოლოფიანმა 62 თ., 37 შ. და 15) მიხაკ მაატიანმა 59 თ., 39 შ.

კანდიდატებად იქმნენ არჩეულნი: 1) ალექსანდრე იაღუფოვი 59 თ., 39 შ.; 2) ნავასარ ოვავიმოვი 58 თ., 40 შ.; 3) ალექსანდრე ზურაშვილი 57 თ., 56 შ.; 4) მელქო ხუბუმოვი 57 თ., 41 შ.; 5) სტეფან აავაზიანი 55 თეთრი, 43 შავი. ამ ახალ დაწყებულ საქმეში და პირველსავე შემთხვევაში ასე უწყალოდ განდევნა კრებამ ქართველობა და შემდეგ რაც იქნება, სხოს დღევანდელი მაგალითი გვაჩვენებს მას.

ივანე შავლიაშვილი.

## ტფ. სათავად-აზნ. ბანკის მომავალი საზოგადო კრება.

ამ თვის ოცს დაიწყება ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის საზოგადო ჩვეულებრივი წლიური კრება. საჭიროდ ვრაცხთ გავაცნოთ მკითხველთ უმთავრესი საგნები, რომელიც [illegible] თავდაპირველად კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1895 წლის განმავლობაში. მოვიყვანთ ამ ანგარიშიდამ ზოგიერთ საყურადღებო ცნობებს:

საანგარიშო წელს გაიცა სულ 482 სესხი 2,697,800 მანათისა. აქედან ხანგრძლივ სესხად გირავნობის ფურცლებით გაიცა: სოფლის მამულების გირაოთი 57 სესხი 406,200 მანათისა და ქალაქის მამულების გირაოთი 278 სესხი 1,918,000 მანათის; ხანმოკლე სესხად ნაღდი ფულით ბანკმა გასცა სოფლის მამულების გირაოთი 55 სესხი 121,500 მან. და ქალაქის მამულების გირაოთი 91 სესხი 252,100 მანათისა. ბანკის დაარსებიდამ 1896 წლამდე ბანკს გაუცია სულ 4788 სესხი 28,659,595 მანათისა.

საანგარიშო წელს ბანკის სრული შემოსავალი ყოფილა 180,224 მ. 14 კ., აქედამ დახარჯულა სულ 54,672 მ. 75 კ., ასე რომ ბანკის წმინდა შემოსავალი ყოფილა 225,551 მან. 39 კ.; ეს შემოსავალი აღემატება წინა წლის (1894) შემოსავალს 14,441 მანათით და 44 კაპეიკით. წმინდა შემოსავლიდამ ძირეულ თანხაში გადიდება 22,481 მ. 01 კ., სათადარიგო თანხაში—43,789 მ. 24 კ., გირავნობის ფურცლების ვადის გასვლამდე დასახსნელ თანხაში 22090 მ. 09 კ., ექსტრაორდინალურ თანხაში 11,626 მ. 36 კ. და საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ თანხაში 81,384 მ.

არ იქნება მეტი აქვე აღვნიშნოთ, რამდენად იმატა ბანკის დაარსებიდან სხვა და სხვა თანხამ. სახელდობრ, ძირეული თანხა ბანკის დაარსების დროს იყო 253,501 მან. და 87 კ., ახლა (საანგარიშო წლამდე) არის 423,563 მ. 92 კ; სათა[illegible] და 21 კ., საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ თანხაში სულ გადიდდა 470,606 მან. 53 კ., ექსტრაორდინალურ თანხაში 65,146 მან. 53 კ.; არის 112,500 მ. [illegible]რეულად დახსნილი გირავ. ფურცლები, სულ 1,297,989 მ. 19 კ. გარდა ამისა 1895 წლის მოგება არის, როგორც ვთქვით, 225,551 მან, 39 კ., რომლიდამ, ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, გადაიდება: ძირის თანხაში 22,481 მ. 01 კ., სათადარიგო თანხაში 43,789 მ. 24 კ. არა სავალდებულო გამოხსნისათვის 22,090 მ. 09 კ., ექსტრაორდინალურ თანხაში 11,626 36 კ. და საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ თანხაში 81,384 მ.

ამ რიგად 21 წლის განმავლობაში ბანკის თანხებმა საზოგადოთ სულ მოიმატეს 1,479,360 მ. 40 კ. ამ ფულიდამ საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სულ დაიხარჯა 469,606 მ. 53 კ., 1896 წ. 1 იანვრისთვის-კი დარჩა 82,384 მ. 51 კ.; ექსტრაორდინალურ თანხის დაიხარჯა 26,583 მ. 30 კ., 1896 წ. 1 იანვრისთვის-კი დარჩა 20,189 მან. 59 კ.

## უცხოეთი

**იტალია.** ტყუილი გამოდგა ის ხმები, ვითომ იტალიის ჯარს დაემარცხებიოს აბაშელები. ეხლა როგორც სჩანს, ბირჟაზედ მოთამაშეებს გაუვრცელებიათ ეს ხმა, იქნება ფასიანმა ქაღალდებმა აიწიოსო. „კორიერე დელა სერა“ ამბობს, რომ ეს ვიცით ნამდვილად, მენელიკმა სამხრეთისაკენ დასწია ჯარებიო. „იტალია მილიტარე“-კი ამბობს, რომ [illegible] და მისი უმთავრესი ჯარები-კი სენაფეში. ჯარს ძალიან უძნელდება წინ წასვლა, რადგან წყლები დაშრაო.

— მთავრობასთან დაახლოვებული

---

ცილით აყრუებს საქალაქო ბაღს. სხვა მოსეირნეებ შორის, ეგენიც ერიენ და უფრო მეტ ხანს ჩუმად იყვნენ, ვინემ მოლაპარაკენი. თითქოს ამტკიცებენ ტენნისონის აზრს, რომ სიჩუმეშიაც ორს, ერთმანერთს პატივის მცემელ არსებას, შეუძლიანთ მშვენიერად და შეიძლება უფრო სიამოვნებითაც გაატარონ დრო. რასაკვირველია, რომ საზოგადოთ კოწია ნინოსთან, რაღაც თითქოს ჰკარგავდა მისს დარდიმანდობას და სხვებთან ისეთი თამამი და მოლაპარაკე, ნინოსთან რაღაც დამჯდარ ჭკუიანო ბრძნად გარდიქმნებოდა ხოლმე. ამ საღამოსაც ისე იყო. ორივენი ჩუმად მიდიოდნენ და თითქოს სტკბებოდნენ მომხიბლველ ბუნებით, რომელიც მართლაც და კეკლუცი რამ იყო, თორემ გაიხსენეთ მაისის მშვიდი, სურნელოვანი მთვარიანი ღამე და მაშინვე დარწმუნდებით, რომ იგი მართლაც მომხიბლველად მოქმედებს კაცზედ. ჩვენი მგზავრები გამოვიდნენ ბაღიდამ და გაუხვიეს მარჯვნით, სადაც მთვარის შუქი პირდაპირ დაადგა ორივეს. კოწია დააკვირდა ნინოს. მისი დამშვიდებული წყნარი სახე, მისი ტანის ჰაეროვნება ამ მთვარის მიმქრალებულს შუქზე (მთვარე ხომ დიდი ჯადოქარია ოცნებით გატაცებულის თვალში მაინც) უბიწობას, მტრედივით უმანკოებას წარმოადგენდა. კოწია განცვიფრდა, გაშტერდა და მოწიწებითა, ღრმა პატივისცემის სურვილმა მოიპყრო.

— ნინო, თქვენ ანგელოზი ბრძანდებით!.. წამოსცდა მას უნებლიეთ. ამ დროს სწორედ ნინოს სახლის კარებს მიადგენ. ნინომ, თითქო ვერაფერი ვერ გაიგონაო, არა უთხრა-რა. კოწიამ-კი, ამ სიტყვებთან ერთად, ნინოს ხელი აიღო და მოწიწებით ემთხვია. დიაღ, სწორედ რომ ემთხვია. ამას თვით კოწიაც ვერ გადაფიცავს...

ეს იყო და ეს. სხვა არავითარი მოფეთქება მათ შორის არ ყოფილა და მერმე ხომ კოწიაც მერანმა სხვისკენ გაიხტუნა-მეთქი.

სწორედ ამ დროს ამ ქალაქში ჩამოვიდა ევროპაშიაც-კი ცნობილი ავანტიურისტკა გრაფინია დანკერ და მთელი იქაური ყმაწვილ-კაცობა თან აიყოლია. რაღა თქმა უნდა, კოწიას იმათში პარველობა ქონდა და გრაფინია დანკერსაც კოწია ყველაზე უფრო თვალში მოუვიდა.

ეს ქალი სამაგალითო რამ იყო. სურვილებთა ზღვა ბობოქრობდა მის თავში და ჯერ ერთის შესრულება ვერ მოესწრო, რომ მეორეს ხელს ჰკიდებდა. ცხოვრების შთაბეჭდილებათა სხვა-და-სხვა ფერობას მიჰყვებოდა და ხან ერთ ჟინს იკლავდა, ხან მეორეს. იგი არ დაგიდევდათ არც მსხვერპლს, თუ-კი ეს მსხვერპლი მისი ჟინის მოსაკლავად საჭირო იქნებოდა და თავ-აღერილი მიჰქროდა გალაღებულ მერანსავით წინ, თუნდა სცოდნოდა იქ უფსკრული ყოფილიყო. მას გაეგონა კავკასიის ქება ბუნების მხრივ, ლეგენდარული გმირების არსებობა ჩვენში და გონება-გახურებულს, ოცნებით ატაცებულს უნდოდა პირ-და-პირ ამ ბუნების შვილს, გულით რაინდს ახლოს გასცნობოდა და მით მასაც ეგრძნო ახალი ძალა განმაახლებელი, რომ ევროპის ცივილიზაციით მისს მოღალულს ნერვებს კავკასიის უბრალოებაში მომრჩენელი ნექტარი მოეპოვა.

გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი, სურვილებზე აღვირ-წახსნილი, ყმაწვილ-კაცობა ამ ქალმა მთლად გააგიჟა და თავს ბრუ დაასხა. მათში ხომ კოწია მთლად აჰყვა, მთლად გაცოფდა, თითქოს ეჯიბრებოდა გრაფინიას: აბა რომელი ვაჯობებთ ცხოვრების მოჰარბებაში და რომელი უფრო ბევრს და უფრო შემაქცევარს გულის გადასაყოლებელს მოვიგონებთო. ხან ცხენებით სეირნობა და თანვე ხრამ-უფსკრულებზე თავ-განწირული ხტუნვა-ჰენება, ხან აჩქარებულ მდინარეში ნავის ჩაგდება და თავიანთ სიცოცხლის ბეწვზედ დამოკიდვა; ხან არიფანები (პიკნიკები), მოლხენანი, ცეკვა-როკვანი და ხან კიდევ ათასი სულ სხვა-და-სხვა გვარი მოცლილ კაცთა მოგონებანი. ასე რომ მშვენიერის, უმანკო, მაგრამ ჩუმისა და აუჩქარებელის ნინოს სურათი, კოწიას უკვე თვალთაგან მიეფარა... იგი გაჰყვა გრაფინიას სხვა ქალაქებშიაც და ზაფხულზე ხომ მთელი ოთხი თვე პიატიგორსკში სულ ერთად ცხოვრებდენ... მხოლოდ მაშინ, როდესაც კოწიას „ჯიბეზე ცოტა შემოაკლდა“ და როდესაც გრაფინიაც კიდევ მოწყენის მასალად გადაიქცა, მხოლოდ მაშინ მობრუნდა კოწია ისევ თავისას და როგორც დიდი რამე შრომისაგან მოღალული კაცი, ისრე მიეცა მოსვენებას... მაგრამ ეს მოსვენებაც მოსვენება არ იყო, მხოლოდ ეს კი, რომ უწინდელზე უფრო-ნაკლებ იშფოთებდა ნერვებს. ისრე-კი ცხოვრება კვლავ ძველებურად მირბოდა-მიქროდა. დიაღ, კოწიას ხელში ცხოვრება ვერ იმდინარებდა, არამედ უნდა ჰენებ-ჰენებით სადმე ცხვირი დაემტვრია მას... შეიძლება ამ დაბრუნებულზე კოწიას კვლავ მოაგონდა ნინო, მაგრამ ერთი რომ ეგეც ისრე, შემთხვევითად და მეორე— თუნდა კიდეც უფრო საფუძვლიანადაც მოჰგონებოდა, ნინო ამ ქალაქში აღარ იყო. ამდენი ხნის განმავლობაში მამა გარდაცვლოდა. დედა, მგონი არ მითქვამს შენთვის, მკითხველო, რომ არც ჩვენს ნაცნობობაში ჰყოლია ცოცხალი და ეხლა თურმე, საზღვარ-გარეთ წასულიყო ნინო. ქალაქში ამაზედ დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი, მაგრამ ამ ლაპარაკს რაკი ის ღალადიც ერთოდა, რომ—რა ვუყოთ, შეძლება აქვს და ქვეყნები უნდა გაიცნოსო, ფერს უმკრქალებდა იმ სიბნელეს, რომელიც ჭორს მოაქვს ხოლმე და ცოტათი მაინც სინათლე შეჰქონდა...

—

ბათუმის ნავთ-საყუდელს ახალი ხომალდი მოადგა. ჩაიხრიალა ღუზამ, მოადგეს ფართე კიბე ხომალდს და ხალხი გადმოცვივდა ხმელეთზე. პირველი და მეორე კლასის მოგზაურებში ჩვენ, მე და შენ, მკითხველო, ყველაზე უწინ ერთს შავს კაბა-ქუდში მორთულ ქალს შევამჩნევდით. ეს იყო ნინო, მაგრამ იგი სრულებითაც არ გამოცვლილა. ისევ ის უმანკო სახე, ისევ ის სიცოცხლით სავსე თვალები, მხოლოდ ძალიან დაკვირვებული თვალი შენიშნავს, რომ მწუხარე, თითქო გამოცდილების გამო შეთვისებული გამომეტყველება, სახეზედ შეპარვია. პაწია „რიდიკული“-თა და ქოლგით ხელში გამოვიდა ნაპირზედ ნინო და სხვა ბარგი-კი თათრის მუშას წამოაღებინა...

ნინოს გული აუფანცქალდა ბათუმის ნახვით, თურმე სამშობლოს მიწას სულ სხვა გამოუთქმელი მიმზიდველობა აქვს. იმას ასრე ეგონა დედ-მამა გაუცოცხლდა და იგი უკვე ნათესაობაში ზის, რომელიც მის დაწყვეტილს გულს უსალბუნებდა. დაწყვეტილს გულს რატომ?—ნინოს თურმე იმ თავიდგანვე უყვარდა კოწია და შეიძლება მაშინ სიტყვით არ აგებინებდა ამ გრძნობას, მაგრამ გულში მაინც დიდი ცეცხლი ქონდა დანთებული.

ნინო, კოწია რომ გრაფინიას გა-

(ოფიციოზური) გაზეთები ამბობენ, რომ მენელიკი სამხრეთისაკენ მიიწევს და თან ასწორებს გზებს, ხიდებსა და ციხე-სიმაგრეებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მენელიკს უნდა დაიწყოს ომი შემოდგომაზედაო.

**ესპანია.** გაზეთები ამბობენ, რომ ესპანიის მთავრობა დასთანხმდა კუბას ავტონომია აღიაროსო. თუმც ასეთი ამბავი მოულოდნელია, მაგრამ გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ ეს სრული სინამდვილეაო. „ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ მადრიდელი კორესპონდენტი იწერება შემდეგს: „მთავრობამ გარდასწყვიტა ავტონომია მისცეს ანტილის კუნძულებს. ახალ რეფორმებს შემოიღებენ პორტო-რიკოში ივნისის დამდეგს, ხოლო კუბაში ივლისში. ამგვარს გარდაწყვეტილებას მთავრობისას ყველა გაოცებაში მოჰყავს და ამბობენ ვაშინგტონის მთავრობის საქმეში ჩარევას უნდა მიეწეროსო“.

**საფრანგეთი.** თუმც შეერთებულ საბჭოთა კრებებზედ შემოსავალზედ დაწესებულის პროგრესიულის გარდასახადის წინააღმდეგობა განაცხადეს, მაგრამ თანაც წარმოსთქვეს თურმე, რომ საჭიროა ეხლანდელი ფინანსიური სისტემა ძირითადად შეიცვალოსო. რაკი ასეთი აზრი წარმოითქვაო, ამბობენ რადიკალები, ჩვენ სრულიად კმაყოფილნი ვართ, რადგან მთავარი აზრი ჩვენის პროექტისა მიღებულია, მთელი ქვეყანა საჭიროდა სთვლის ცვლილებას ფინანსების საქმეებშიო, ჩვენ მეტი არა გვინდა რაო.

საფრანგეთში ახალი პარტია დაარსებულა რადიკალ-რესპუბლიკელთა. ამ პარტიას აზრადა აქვს, ყველაზედ უწინ კონსტიტუციის გადასინჯვა მოითხოვოს, რადგან უამისოდ ვერც ერთს ჩვენს პროექტს სისრულეში ვერ მოვიყვანთო. თუ გინდა პარლამენტმა თანხმობა განუცხადოს პროგრესიული რეფორმების შესახებ, სენატი მაინც ყოველთვის წინააღმდეგი იქმნებაო, ან და ისე დაასახიჩრებს და შეაკეთებს, რომ აღარც-კი იცნობებაო.

**ოსმალეთი.** უცხოელმა გაზეთებმა ისევ ასტეხეს ლაპარაკი სომეხთა საქმეების შესახებ. ინგლისური გაზეთები დიდს მნიშვნელობას აძლევენ იმ ამბავს, რომ ამ დღეებში სამისახელმწიფოს (ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთის) ელჩებმა წინააღმდეგობა გამოუცხადეს პორტას, იმის გამო, რომ ზეითუნში მაჰმადიანს ნიშნავდნენ ვიცე-გუბერნატორად. ინგლისის ელჩი კერრი მეტის-მეტს გაცხარებულს წინააღმდეგობას აცხადებს ამის გამო. ინგლისში სომეხთა გულ-შემატკივრები აგიტაციებს მოახდენენ ხოლმე. საქმე იქამდის მივიდა, რომ პარლამენტში დაეკითხნენ მინისტრს. გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწემ კერზონმა უპასუხა: „მართალია თხუთმეტიოდე კაცი სცდილობდა აჯანყება მოეხდინა ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ თვით სომხებმა გასცეს იგინი და ოსმალეთის მთავრობის ხელში ჩააგდეს. საქმე იმგვარად არის მოწყობილი, რომ არ არის მოსალოდნელი ქრისტიანეთა ჟლეტა. მიუხედავად ამისა ინგლისის სამხედრო გემი შეივლის ხოლმე დრო გამოშვებით ალექსანდრეტტაში“.

ოსმალეთის მთავრობა მაინც ცდილობს, რომ თუ ვინიცობაა აჯანყება მოხდა, მზად იყოს. აძლიერებენ ჯარებს იმ პროვინციებში, სადაც სომხები სცხოვრებენ, ჯარს ამრავლებენ და თოფ-იარაღს ამზადებენ.

## ბ. იაკ. სიმონიძეს.

(საკენკი)

ბ. ი. სიმონიძე ძალიან გაუწყრომატებია ჩვენს ბიბლიოგრაფიას და რატომ-კი, ვერ მიხვდება ის, ვინც არ იცის ყოველივე გარემოება საქმისა. ჩვენ ერთი იმათგანი ვართ, რომელთაც არაფრად მოსწონთ ჭუჭყიანი სარეცხის საქვეყნოდ გამოფენა, მაგრამ რა უნდა ქნას კაცმა, როცა სცხოვრებ საქართველოში, სადაც პატივცემულის ი. სიმონიძეებისთანაც-კი კისრულობენ ამგვარს საქციელს. ჩვენ სრულიად წინააღმდეგნი არა ვართ მისი, რომ ჩვენი ბიბლიოგრაფიები ვინმემ განკიცხოს და, თუ ნებავს, მიწასთან გაასწოროს. თავის დღეშიაც არა გვგონია ზოგიერთსავით ვითომ რომის შეუცდომელი პაპი ვართ, ჩვენ მხოლოდ ერთსა ვსცდილობთ, რომ ის ვაუწყოთ საზოგადოებას, რაც ჭეშმარიტებად მიგვაჩნია და ერთს წუთსაც არ გვავიწყდება, რომ შეიძლება ჩვენ ვსცდებოდეთ და სხვა მართალი იყოს. მაგრამ ყოველივეს რიგი და წესი ეჭირვება. ბ. ი. სიმონიძემ რიხიანის ბარათით გამოგვიგზავნა შენიშვნა, იმ ბარათით, რომლის გამოქვეყნებაც საჭიროდ არ მიგვაჩნია.

ცხადადა სჩანს, როგორც ჩვენთვის, ისე მათთვის, ვინც გადაათვალიერებს „ივერიის“ მე-67 №-ს (სადაც ი. სიმონიძის წერილია დასტამბული „მოამბის“ შესახებ) და № 69-ის ბიბლიოგრაფიას, რომ სიმონიძე იმანააპილპილა, როგორ გაბედა «ივერიის» თანამშრომელმა ჩემი წერილის შემდეგ ასეთის ბიბლიოგრაფიის დასტამბვაო. ამიტომაც ჩვენ ჩვენს გაზეთში ვერ მოვათავსეთ ბ. სიმონიძის შენიშვნა. მეორეც, არსად არ არის მიღებული, რომ რედაქცია ერთ ფურცელზედ ერთსა ბეჭდავდეს და მეორეზედ ამ დაბეჭდილს არღვევდეს, თუ მაინცა და მაინც რაიმე განსაკუთრებული გარემოება არ თხოულობს ამას, აქ-კი ასეთი გარემოება ვერა ვნახეთ. განა შესაძლებელია? დღეს ბ. იაკობ სიმონიძე გაჰკიცხავს ბიბლიოგრაფს, ხვალ სიმონ იაკობიძე ბიბლიოგრაფიის გამკიცხველს წინაღუდგება, ზეგ იაკობ ისააკიძე, ისააკ იაკობის ძე და სხვ. ეს მოუხერხებელია გაზეთში. ხოლო რაიცა შეეხება იმ შენიშვნას, რომელიც ბ. სიმონიძის ნება-რთვით, უთუოდ, „მოამბის“ რედაქციამ დასტამბა, ამ წერილის ბოლოში უნდა მოვახსენოთ ბ. სიმონიძეს, რომ იკლიკანტურს დასმენას პირდაპირი აპელაცია სჯობია, როგორც კანონიერი იარაღი თავის დაცვისა და ამის გარდა ვამხილებთ კიდეც ბ. სიმონიძეს, რომ „ივერიის“ თანამშრომლებს ვერავითარის აპელაციით და კასსაციით ვერ დააბეჭდვინებდა იმ წერილს, სანამ იგინი „ივერიის“ თანამშრომლებად დარჩებოდნენ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უდიდესი მადლობა გამოვუცხადო ნინო ბეჟანის ასულს ყიფიანისას, რომელმაც გადმომცა ქართულის სიმღერების დასაბეჭდად ხუთი თუმანი. ჯერ-ჯერობით ამ ფულით შევუდგებით ბ. ქორიძისაგან გადაღებულის გურულ სიმღერების პირველი სერიის დაბეჭდვას. როდესაც ეს ზემოხსენებული სიმღერები დაიბეჭდება,—ხუთი თუმნის ღირებული ამ გამოცემისა გარდაეცემა ნ. ყიფიანისას გასასყიდად სხვა საქველმოქმედო საქმის სასარგებლოდ, რადგან ეს ფული ამ აზრით იყო შეგროვებული. დანარჩენი ეგზემპლიარები ამ სიმღერებისა გაისყიდება იმ აზრით, რომ მისი შემოსავლით დაიბეჭდოს შემდეგი სერია ქართულის სიმღერებისა.

მ. ბალანჩივაძე.

1896 წ. 15 აპრილი.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ციციშვილნი. — საქართველოს მეფის კონსტანტინეს 1467 წლის გუჯარში ზანსკუთელი-ზაზა ციციშვილი და შვილნი მისნი: ქაიხოსრო, გიორგი, სახათ, მერაბ და ზაქარია თავადებად არიან წოდებულნი.

თავად ციციშვილთა გვარეულობა აღნიშნულია ქართლის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა საოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი ციციშვილნი და ჩამოთვლილია 18 ოჯახობა ამ საგვარეულოსი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 4 აპრილს 1856 წ., 16 აპრილს 1858 წ., 23 სექტემბერს 1859 წ., 10 მარტს 1871 წ. და 3 დეკემბერს 1873 წ. ამ გვარს შეურთდნენ თავადნი ციციშვილნი: 1) ფარსადან პეტრეს ძე; 2) ალექსანდრე კონსტანტინეს ძე; 3) მიხეილ და დავით დიმიტრის ძენი; 4) დიმიტრი კონსტანტინეს ძე და 5) ალექსანდრე მიხეილის ძე.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 აპრილი.

**ოდესსა.** აქ ჩინეთის საელჩოს მოელიან პორ-საიდიდამ. ელჩებად გამოგზავნილნი არიან კანცლერი ლი-ხუნგ-ჩანგი, 11 სახელმწიფოს უმაღლესი მოხელენი, 35 სხვა მოხელენი და ამალა. ამ შემთხვევისათვის ნავთ-სადგური შემკობილი იქმნება, ელჩებს სამხედრო და სამოქალაქო უწყებისა და ქალაქის მმართველობის წარმომადგენელნი მიეგებებიან და პურ-მარილს მიართმევენ. ოდესსაში რამდენსამე დღეს დარჩებიან ელჩები.

---

დაჰყვა, სრულებით ჩაიკეტა თავისას და თუმცა მამის მორჩილი დიდი იყო, მაინც ამაში მამასაც აღარ ემორჩილებოდა: სიარული სრულებით მიატოვა ყველგან. მამას სთხოვა კიდეც საზღვარ-გარეთ გაეშვა, მაგრამ მამა მისი უფრო სხვა ჯურის კაცი იყო და ერთად-ერთ ქალიშვილს სადმე „სატანტალოდ რავა გაუშვებდა თუ-კი ჯერ გვირგვინს არ დაადგამდა თავზედ და მის ბედნიერებას თვითონ არ მოესწრებოდა.“ ნინოც შეურიგდა თავის ბედს ის იყო, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ შეისრულა კიდეც გულის წადილი, თუმც ზნეობითად დიდ რამედ დაუჯდა მას ეს სამზღვარს-გარედ წასვლა. ჩვენს ქვეყანაში ამგვარი მაგალითი ძვირი იყო და ამიტომაც, როგორც ყოველისფერს ახალს, სხვაგვარის თვალით შეხედეს, მაგრამ ნინომ ამას ყველას დასძლია და ბრძოლიდან მაინც გამარჯვებული გამოვიდა...

ნინო კოწიას ამბავს საზღვარ-გარედაც ტყობილობდა მის ამხანაგებთან მიწერ-მოწერით და გული უკვდებოდა, როდესაც კოწიას ახალს გატაცებას გაიგებდა ხოლმე. „ოჰ, ღმერთო, ამ კაცის გამოკეთება შეიძლება და როგორ იღუპებაო! კარგი ცოლი მას ძირიანად შესცვლის და ქვეყანას ერთს ნიჭიერს და სასარგებლო შვილს აჩუქებსო. კარგს ცოლს შეუძლიან, რომ ის ნაკლი შეუვსოს აწინდელს ცხოვრებაში, რაც წინაპირველად დედისაგან დაჰკლებიაო“. ფიქრობდა ნინო საზღვარ-გარედ და რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი უკვდებოდა გული, რომ „მე შემეძლო ეს მექნა, კაცი დამეხსნა დაღუპვისაგან და ვერ-კი მოვიქმედეო... მერე მე რომ თავი შევწირო კიდეც იმას, რომ ერთს კაცს მაინც გამოსწორებულს მივკემ ჩემს ქვეყანას, განა ესეც არ კმარა ჩემგანო... ო, ქალს ბევრი რამე შეუძლია, თუ-კი კარგად მოიხმარა ეს თავისი ძალაო... მე ვგრძნობ, რომ ეს ძალა მეცა მაქვს და კოწიას გამოკეთებაც ჩემს მეტს არავის არ შეუძლია!... აკი ვიცი, რომ მას ჩემი დიდი და დიდი პატივისცემა ქონდა... მე დარწმუნებული ვარ, თუმცა ცხოვრებამ ბევრი ცუდი ტალღა ახალა, მაგრამ იმას კიდევ შერჩენია რაღაც კეთილი თვისება სულისა და თუ მას კარგი ხელის შემწყობელი ეყოლა, საქმეც კარგად წავაო... ამ ხელის შემწყობელად-კი მე ვივარგებ და ვიცი გავიტან კიდეც ჩემსას. მაშ, გასწი, ჩემო თავო, სადაც შენი მოვალეობა მოგიწოდს და სადაც შენი კოწია შენგან ხსნას მოელისო“...

თითქო ღმერთმა ჩააგონაო ნინოს ეს კოწიას გამოხსნა, ისრე სიჩქარით მოესწრაფებოდა აქეთკენ და ბათუმის მერე ხომ სრულებით ველარ გაუჩერდა გული ვერაფერზე. რამდენიც უახლოვდებოდა მის სამშობლო ქალაქს, სადაც თავისი ძვირფასი კოწია ეგულებოდა იმდენი და იმდენი უფრო ღელდებოდა, იმდენი და იმდენი უფრო უფართქალებდა გული, თითქოს რაღაცის ეშინოდა—ვაი თუ ვერ მივასწრო და ჩემი განაზრახი სრულებით დამენგრესო; თითქოს რაღაც ძალი ეუბნებოდა: იჩქარე, თორემ ბედნიერება ხელიდამ გაგისხლტებაო. დიაღ, ეს სიჩქარე იყო რაღაც ნერვოზული, ავათმყოფური, სიცხიანი სიჩქარე და ამიტომაც ნინოს ვერავითარი მიზეზი ველარ დააკავებდა. მან გზაშივე გარდაწყვიტა, რომ „არსად არ მივალ ისრე, პირ-და-პირ ვეწვევი კოწიას, ქვეყანამ რაც უნდა ის თქვას, მაინც და ყველაფერს აუხსნი. ყველას ვეტყვი, ვიცი დავძლევ და დავითანხმებო.“ გულში ძალი დიდი ქონდა, და სულში რწმენა უძლეველი, ასრე, რომ ვერავითარი მიზეზი მას ხელს ვერ შეუშლიდა... გზა-გზა, თან-და-თან უფრო გამოერკვა მისი აზრები და გარდეშალა წინ მისი მომავალი ბედნიერი ცხოვრება, რომელშიაც ათას გვარი გეგმები, ათას გვარი მოხაზულობანი იყო გამოსახული... აი, უახლოვდება თან-და-თან ორთქლ-მავალი საყვარელ ქალაქს. აი, განთიადის, დილის რიჟრაჟში ყველაზედ წინ მკრთალად გამოჩანს მისი ქალაქის აწოწვილი გუმბათები და მერე თან-და-თან ირკვევა ორ-სამ სართულიანი სახლებიც, ბაღიც და მდინარე გველებრივ მოხლაკნილი მისი დაფენილი ჭალებით...

უკანასკნელად ამოიქშინა ორთქლმავალმა, უკანასკნელად გაიხრიალა კვლავ ბორბლებმა და შეჩერდა კიდეც. რკინის გზის სადგურზე მომსვლელები ფუს-ფუსით აირივნენ ერთმანეთში ეტლების საშოვრად. ნინოც ჩაჯდა ერთში და უთხრა მეეტლეს პირდაპირ კოწიას სახლისაკენ წაეყვანა. მეეტლეც სწორედ ის შეხვდა, რომელმაც ამ დილით კოწიას სტუმრები მიიყვანა თავიანთ სახლებში და ეხლა კიდევ ამ ახალგაზდა ლამაზმა ქალმაც რომ კოწიასთან უბრძანა წაყვანა, თავში გაუელვა: „არა, ქე ამბობენ კოწია გაღარიბდა, არაფერი არ აქო, მაგრამ მაინც ბედნიერად ქე ცხოვრობს ი კაცი, მაინც კაი დროს ატარებს: წუხელი ისთე იქეიფა და ახლაც რავალი ქალი მიმყავს იმ ოხერთანო“.

—

ნინოს წინასწარმა გრძნობამ არ უმტყუნა და სწორედ ზე-გამოჰრილ დროზედაც მივიდა კოწიასას. ასე, რომ, მგონი, მკითხველი თავისითაც მიხვდა—კოწიას ხელში რევოლვერის აღების დროს კარის გამღებელი ნინოს მეტი არავინ იქმნებოდა...

მე ვერ ვიტყვი თუ რა გამოიხატა კოწიას სახეზედ ნინო, რომ დაინახა. ეს გამომეტყველება ბევრ-გვარი იყო. იმაში ერია წყენაც, ვითომ ხელი რად შეუშალეს; დარცხვენაც, ვითომ ამგვარმა ღირსმა ქმნილებამ, როგორიც ნინოა, ესეთ სიმდაბლეში შემოასწროს; სინანულიც, რადგან გულში ცოტა დანაშაულს მაინც გრძნობდა ყოველთვის, ვითომ და მას ნინოსთვის ელალატებინოს, თუმცა, როგორც ვიცით, მათში სიტყვა ამაზედ არაფერი არ ყოფილა. და ბოლოს-კი სიხარული გამოუთქმელი, რომ ქვეყანაზედ კოწიას კიდევ ჰყოლია ძვირფასი ვინმე და ნამდვილი საგანი ცხოვრებისა. თურმე იგი ღარიბი არ ყოფილა არც სულით და არც ქონებით, რადგან მას ამ გვარი ქალი კეთილ ანგელოსათ აღმოჩენია. მან ეხლა მართლა იგრძნო ეს ძალი განმაახლებელი და მხოლოდ ეხლა მიხვდა, რომ მას ოდესღაც ნინოსთვის მართალი უთქვამს: „თქვენ ანგელოსი ბრძანდებითო!...“

ნინო შემოვიდა, მაგრამ იქვე გაქვავდა, იმდენად შეზარა წინ გადაშლილმა სურათმა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ერთმანერთის შემხედველნი, მივარდნენ ერთ-ურთს და გულ-ამოსკვნილნი მდუღარე ცრემლსა ღვრიდნენ. იქა-აქა სულის ამოთქმაში „ნინო“! „კოწია!“-ს თუ ამოატანდნენ, თორემ ისრე სულ ცრემლებათ ირღვნებოდენ.

ეს იყო ცრემლი გულის წმინდის.

ცრემლები წმინდა...

მომიტევოს მკითხველმა თუ აქ წერტილს დავსვამ.

ქუჯი.

**პარიზი.** ტივოლში მომხდარ კრებისა გამო საღამოთი რამდენიმე ჯგუფმა მანიფესტაცია გამართა სენატის წინააღმდეგ. მრავალი ამათგანი შეიპყრეს. გაზეთების თანამშრომელი გერენი დაპატიმრებულია. სოციალისტთა დეპუტატთ ჟორესსა და სემბს, რომელნიც მანიფესტანტთ თავში უდგნენ, პოლიციელებმა სცემეს.

**პარიზი.** ბულგარიის მთავარი ჩამოვიდა. მთავარს რკინის გზის სადგურზედ პრეზიდენტის სახელით გენერალი ტურნიე, საპატიო დარაჯნი და ბულგარიის სტუდენტები დაუხვდნენ. აქედამ მთავარი ელისეის სასახლეში წავიდა. ფორმა მთავარი ბურჟუასა და ოფიცერთა თანადასწრებით მიიღო. მთავარს თან ახლდა ორივე მინისტრი და ამალა. მისალმების შემდეგ ფორი, ფერდინანდი, ბურჟუა და ბულგარიის მინისტრები ცალკ-ცალკე დარჩნენ მარტოდ.

პრეზიდენტმა მიიღო სარრიენი, რომელსაც მიანდო კაბინეტის შედგენა.

**ვენა.** პარლამენტმა მიიღო 195 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 30-ისა მუხლი კანონ-პროექტისა საარჩევანო რეფორმის შესახებ თანახმად მთავრობის რედაქციისა, რომლითაც დეპუტატთა რიცხვი 72-ით უნდა მეტი იყოს.

**კონსტანტინეპოლი.** ელჩების მიერ წარდგენილს წინადადებაზე ზეითუნის კაიმაკამის დანიშვნის შესახებ ვეზირმა ის პასუხი მისცა, რომ მალე სასურველად დაბოლოვდება ეს საქმეო.

**ლონდონი.** დედოფალმა ახალი ორდენი დააარსა: „დედოფლის ვიქტორიას ორდენი“.

უელის პრინცესსა ქალებითურთ ტიურბიში წავიდნენ, რომ აქ ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ინახულონ.

საზღვაო საქმეთა დაწესებულებამ განკარგულება მოახდინა 20 ახალი ნაღმიანი გემი ააშენონ.

**კაპტოუნი.** ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჩემბერლენს ის პასუხი მისცა, რომ ეხლა ინგლისში წამოსვლა არ შემიძლიან, რადგანაც ჩემი აქ ყოფნა უთუოდ საჭიროაო.

15 აპრილი.

**მოსკოვი.** რადგანაც მოსკოვის პურის ბირჟის წესდება დამტკიცებულია, აპრილის დამლევს მოხდება კრება მეპურეთა. ამ სხდომის თავმჯდომარედ იქნება ფინანსთა სამინისტროსაგან დანიშნული პირი.

**პარიზი.** 14 აპრილს მოვიდა აქ მარშალი, მარკიზი იმაგატა იაპონიის საელჩოსთან ერთად. იგინი ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინებაზედ დასასწრებლად მიდიან.

ბულგარიის მთავარმა გადაუხადა ვიზიტი სენატის თავმჯდომარეს ლუბეს და ბურჟუას. დღეს თავადი დაესწრება მარულაზე ლონშანში.

**პეკინი.** პარასკევს გამოცხადდა საიმპერატორო ბრძანება, რომ ნება დართულია პეკინიდამ ხანკოუმდის რკინის გზის გაკეთება.

**ვაშინგტონი.** დერვიშთა ბანაკში არა იციან-რა ინგლისისა და ეგვიპტის ექსპედიციის შესახებ.

გენერალმა ბალდისერამ დაათვალიერა ბანაკი ადიკალეში და დარწმუნდა, რომ ჯარები მეტად კარგს მდგომარეობაში არიან.


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

უ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

---

კბილის ექიმი
**Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—105).

---

**Ქ Ი Რ Ა Ვ Დ Ე Ბ Ა**
ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

---

დაიბეჭდა ახალი წიგნი
**შოთა რუსთაველი**
შედგენილი მ. ჯანაშვილის მიერ.

განყოფილება პირველი. ა) შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი: რუსთაველის წინა დროის მწერლობა.—ცნობანი რუსთაველის ცხოვრების შესახებ.—როგორ უყურებდნენ რუსთაველის ქმნილებას ძველი დროის მწერლები.—რუსთველის ლექსთა წყობა.—როგორ ესმისთ შაირობა რუსთაველსა და მის დროის მწერლებს.—რუსთაველის გმირები, მისი რომანი, რუსთაველის გულკეთილობა და დიდბუნებოვანება.—ვეფხის-ტყაოსნის ბეჭდვისა და მეცნიერულად შესწავლის ისტორია (მეფე არჩილი, მეფე ვახტანგ VI.—დავით ჩუბინაშვილი.—ილია ჭავჭავაძე.—ბარონ სუტნერი.—მარი ბროსე.—დიმ. ბაქრაძე.—აკაკი წერეთელი.—მურავიოვი.—ნ. გულაკი.—ალ. ხახანაშვილი.—ვაჟა-ფშაველა.—ნიკო მარრი—ნიკო ნიკოლაძე.—ალ. ნანეიშვილი.—დიმ. ყიფიანი.—ჩვენი მოსაზრება.—გრ. ორბელიანი.—გიორგი წერეთელი.—ვახტ. ორბელიანი.—პლატ. იოსელიანი.—ალ. ცაგარელი.—ნ. დ.—ეგ. იოსელიანი.—ლეისტი, ბარტდინსკი, პოლონსკი, მურიე, სტალინსკი, რენანი, უორდროპი); ბ) რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს ს უ რ ა თ ზ ე. განყოფილება მეორე. ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს თ ხ ზ ო ბ ა. განყოფილება მესამე. ცხოვრება და ბუნება რუსთაველის შეხედულობით: ა) ღმერთი, ბ) თამარ დედოფალი, გ) რუსთველის ლოცვა, დ) სიმუხთლე სოფლისა, ე) სიკვდილი, ვ) კაცო, ძალსა ნუ იქადი, ზ) ქორწილი, ჱ) რუსთაველის იგავ-არაკნი, თ) შაირობა და მგოსნობა, ი) რუსთველის სიბრძნენი და თქმულობანი (სულ რიცხვით 251).

გამოცემა 183 გვერდია, შემკულია სამის სახითა (შოთასი, თამარ დედოფლისა და ტბეთის ეპისკოპოსის წმ. იოანესი და ორის ნახატით „რუსთაველის სურათზე“ და თამარ დედოფალი ციხის ძირს და ღირს 40 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი ქართული წიგნი:
**ᲐᲜᲐ ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲐ**
თხზ. გრ. ლ. ტოლსტოისა
თარგმანი დ. კარ—ლისა.

---

**«ᲡᲘᲭᲐᲑᲣᲙᲘᲡ ᲪᲝᲓᲕᲐ»**
ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.
**თხზ. დ-რის ლორენცისა.**
რუსულად გამოცემული
დ-რ გ—ლის მიერ.
ფასი ერთი მანეთი
ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.
წიგნი ნება დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.
საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან, ლეიპციგს. Otto Asperger, Leipzig (საქსონიას). უცხოქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. 31—1—4

---

ხელ-მეორედ გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად
ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ი
**ᲡᲝᲙᲠᲐᲢᲘ.**
თარგმანი მ. შარაძისა,
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა
წიგნი 63 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხან. სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

---

ახლად გამოვიდა და ისყიდება
**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲚᲝᲑᲐ**
ლიტურგია იოანე ოქროპირისა.

მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის, გამოცემა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, გადაღებული ფ. ქორიძის მიერ. გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ილიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედეკ გ. ნაკაშიძისა და მღვ. ნესტორ ქ. კონტრიძისაგან.

პარტიტურა № 1.

წიგნი 174 გვერდია და ღირს ე რ თ ი მ ა ნ ე თ ი.

**ᲪᲐᲚᲙᲔ ᲮᲛᲔᲑᲘ:** დამწყებისა, მაღალი ბანისა და ბანისა თვითოეული წიგნი 70 გვერდია და ღირს ორ-ორ აბაზად. ვინც სამივეს ერთად იყიდის, ერთ მანეთად დაეთმობა. წიგნები ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და გამომცემელთა მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

**Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ და ᲐᲛᲮᲐᲜᲒᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲜᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.** საგანგებოდ ამისათვის რუსეთიდამ ასოებია გამოწერილი და იმგვარადვე იბეჭდება, როგორც ჩვეულებრივი წიგნი. ნოტების ბეჭდვა შეიძლება ცალკე წიგნად და აგრეთვე სხვა ჩვეულებრივ წიგნთან ერთად შიგ ჩართვით.

---

ეს ტაქსა დამტკიცებულია ვისგანაც ჯერ არს 9 მარტს 1896 წ.

## ᲢᲐᲥᲡᲐ

ნადირობისა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ტყეებში.

ნადირობა ნებადართულია იმ წესით, რომელიც დადგენილია უმაღლესად დამტკიცებულის კანონით, 3 თებერვალს 1892 წელსა

იმის ნიშნად, რომ ნადირობა ნებადართულია ამა და ამ დროსა და ამა და ამ ნადირზედ, მიეცემათ ბილეთები ან გრძელ ვადიანი (სეზონისა), ან უფრო მოკლე ვადისა (ერთჯერი), ამ ბილეთების სხვაზედ გადაცემა აღკრძალულია. მოკლე ვადიან (ერთჯერის) ბილეთით ნადირობა მხოლოდ სამი დღის განმავლობაშია ნებადართული.

ნადირობის ნების ასაღებად შემდეგი ხარჯია დადგენილი ყველა ტყეებში:

| | ფასი: მანეთი | ფასი: კაპ. |
|---|---|---|
| ა) გრძელ ვადიანი (სეზონის) ბილეთის ფასი: | | |
| უძაღლოთ ნადირობისთვის — — — — | 5 | „ |
| ერთის მეძებრით — — — — — | 10 | „ |
| ორის ნაგაზით — — — — — | 8 | „ |
| ოთხის და მეტის ნაგაზით — — — — | 10 | „ |
| ორის მწევარით — — — — — | 5 | „ |
| ბ) მოკლე ვადიანის (ერთჯერის) ბილეთის ფასი: | | |
| უძაღლოთ ნადირობისთვის — — — — | „ | 50 |
| ერთის მეძებრით — — — — — | 1 | „ |
| ორის ნაგაზით — = — — — | „ | 80 |
| ოთხის და მეტის ნაგაზით — — — — | 1 | „ |
| ორის მწევარით — — — — — | „ | 50 |
| ხაფანგით ნადირობა იმ ალაგებში, სადაც ეს ნება დართულია, მელასი, კვერნისა, წავისა, და სხვ. დასაჭერად გარდაეხდებათ გრძელ-ვადიან (სეზონის) ბილეთში — | 5 | „ |

შენიშვნა: 1) ნადირობა აღკრძალულია შემდეგ ტყეებში: ყარაიაზის ტყეში ირემზედ, შველზედ, ჯეირანზედ და გარეულ თხაზედ, აგრეთვე ხოხობზე, თურაჯზედ; მარტყოფ-იორისა, სიღნაღისა, გაღმა-ალაზნისა და თელავის ტყეებში—ხოხობზედ; შირაქის ტყეებში—ხოხობზედ და თურაჯზედა.

2) ცეცხლის გაჩენის ასაცილებლად, ახალციხისა, კობლიანის და აბასთუმნის ტყეებში, იმ ალაგებში, სადაც წიწვიანი (ХВОЙННЫЯ, ე. ი. ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, ღვიო და ურთხელა) ხეები ბევრია—ნადირობა სრულებით აღკრძალულია 1 აპრილიდან დაწყებული ვიდრე 1 ოქტომბრამდე.

*) გარდა ყორულის დაჩისა, სადაც ნადირობის ნება იჯარითა აქვს აღებული კავკასიის სანადირო საზოგადოებასა 1902 წლის აგვისტოს პირველამდე.

მმართველი სახელმწიფო ქონებისა ა. გამრეკელი.
საქმის მწარმოებელი კ. პროტოპოპოვი. (3—6—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 15-го Апрѣля 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.